О.О.О.
"КОМУНСТРОЙПРОЭКТ-2006"
ПРОЭКТНО-СТРОИТЕЛЬНАЯ
КОМПАНИЯ
Грузия, г. Кутаиси,
просп. Сулхан-Саба № 63/33
☎558-377-773

„კომუნმშენპროექტი-2006"
შ.პ.ს.

L.T.D.
"KOMUNMSHENPROJECT-2006"
DESING AND BULDING
COMPANY
Georgia, Kutaisi
Sulkhan-Saba str № 63/33
☎558-377-773

✉ საქართველო, 4600, ქ. ქუთაისი, სულხან-საბას გამზირი №63/33 ☎558-377-773

გასავალი № 24
12/03/2012

14.03.12

თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის
მერს ბატონ გიორგი თევდორაძეს

ბატონო გიორგი!

მოგეხსენებათ შ.პ.ს. „კომუნმშენპროექტი-2006"-მა 2012წლის 28 თებერვალს გაიმარჯვა კონკურსში რომლითაც გათვალისწინებული იყო ქ.ქუთაისში განათლების ქუჩის დასაწყისის და სხვა დარჩენილი ნაწილის წყალსადენის ქსელის ავზზე დაერთების და წყალსადენის ქსელის მოწყობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

უამინდობის გამო ვერ მოხერხდა ობიექტების დეტალურად დათვალიერება და საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა რის გამოც გიხდით ბოდიშს და გთხოვთ გაგვიგრძელოთ ვადა 10 კალენდარული დღით.

პატივისცემით
შ.პ.ს. კომუნმშენპროექტი2006"-ის
ტექნიკური დირექტორი:
გრიგოლ გვანცელაძე

ქ. ქუთაისის მერია
ქალაქმოწყობის საქალაქო სამსახური
№01-103
14. 03 2012

სახელმწიფო ქონების
საქალაქო სამსახური
№ 293
14. 03 2012.

ქ. ქუთაისის-ქუთაისის მერიის ადგ.
შემოსულია № 01-1707
03 03 2012
ფურცელ რაოდენობა 1

საქართველო

თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის

კეთილმოწყობის სამსახური

№ 01-103
„14" 03 2012 წ.

4600, საქართველო, ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3
ტელ: (8995 331) 4 10 70
e-mail: communal_department@yahoo.com

ქ.ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ დავით ანდღულაძეს

ბატონო დავით,

შპს "კომუნმშენპროექტი 2006" №134 ხელშეკრულების შესაბამისად უნდა შეადგინოს განათლების ქუჩის დასაწყისის და სხვა დარჩენილი ნაწილის წყალსადენის ქსელის ავზზე დაერთების და წყალსადენი ქსელის მოწყობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. ორგანიზაცია ითხოვს უამიდობის გამო ხელშეკრულების ვადის გაგრძელაბას 10 კალდენდარული დღით.

კეთილმოწყობის სამსახური თანახმა ორგანიზაციას გაუგრძელდეს სახელშეკრულებო მოქმედების ვადა 10 კალენდარული დღით.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში გთხოვთ დაავალოთ შესყიდვების სამსახურს უზრუნველყოს დანართი შეთანხმების გაფორმება №134 ხელშეკრულებაზე.

პატივისცემით

გიორგი წულაძე

სამსახურის უფროსის მოადგილე

ქ.ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობა
შემოსულია 01-1707
„14" 03 2012 წ.
ფურცელ რაოდენობა 2

სახელმწიფო შესყიდვების
საქალაქო სამსახური
№ 293
„14" 03 2012 წ.

დანართი-შეთანხმება №1

ქალაქ ქუთაისის მერიასა და შ.პ.ს „კომუნმშენპროექტი 2006“–ს შორის 2012 წლის 29 თებერვალს გაფორმებული №134 ხელშეკრულებაზე

ქ. ქუთაისი 14 მარტი 2012 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონმდებლობისა და მიმწოდებლის საკონკურსო წინადადების საფუძველზე, კონკურსის (საკონკურსო განაცხადი №330. 23.02.2012) ჩატარების შედეგად ქალაქ ქუთაისის მერიასა და შ.პ.ს. „კომუნმშენპროექტი 2006“–ს შორის, 2012 წლის 29 თებერვალს გაფორმდა №134 ხელშეკრულება, რომლითაც განსაზღვრულია ქალაქ ქუთაისში განათლების ქუჩის დასაწყისის და სხვა დარჩენილი ნაწილის წყალსადენის ქსელის ავზზე დაერთების და წყალსადენის ქსელის მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

შ.პ.ს „კომუნმშენპროექტი 2006“–ის 2012 წლის 12 მარტის №24 წერილის და მერიის კეთილმოწყობის სამსახურის 2012 წლის 14 მარტის №01–103 მომართვის საფუძველზე მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული ქალაქ ქუთაისის მერიასა და შ.პ.ს „კომუნმშენპროექტი 2006“–ს შორის, 2012 წლის 29 თებერვალს გაფორმებული №134 ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდეს 10 (ათი) კალენდარული დღით.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია, ქალაქის მერის მოადგილე, მერის მოვალეობის შემსრულებელი დავით ანდღულაძის სახით (ქ. ქუთაისი 4600, შ. რუსთაველის გამზ. №3, ს/კ 212721170 ტელ: 24-64-48) (შემდგომში „შემსყიდველი“)

მეორეს მხრივ შ.პ.ს. „კომუნმშენპროექტი 2006“, მისი ტექნიკური დირექტორის გრიგოლ გვანცელაძის სახით (მისამართი:ქ. ქუთაისი, სულხან–საბას გამზ. №63/33. ტელ: 558 37 77 73; ს/კ **212678878**, ს.ს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი **BAGAGE22**; ა/ა **GE52BG0000000153197600**) (შემდგომში „მიმწოდებელი“).

ვდებთ ამ შეთანხმებას შემდეგზე:

1. მხარეები თანხმდებიან, რომ 2012 წლის 29 თებერვალს გაფორმებული №134 ხელშეკრულების 15.1 მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულების მოქმედების ბოლო დღედ მიეთითოს 2012 წლის 23 მარტის ჩათვლით.
2. მხარეები თანხმდებიან, რომ 2012 წლის 29 თებერვალს გაფორმებული №134 ხელშეკრულების მე–11 მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები გავრცელდება ამ დანართი შეთანხმების პირველი მუხლით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.
3. დანართი შეთანხმება №1 ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და წარმოადგენს 2012 წლის 29 თებერვალს გაფორმებული №134 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

დავით ანდღულაძე	**გრიგოლ გვანცელაძე**
ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე	შ.პ.ს. ,,კომუნმშენპროექტი 2006“–ის ტექნიკური დირექტორი
(შემსყიდველი)	(მიმწოდებელი)